ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №2019/163
(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ. თბილისი **26 ივლისი, 2019 წელი**

ერთის მხრივ, **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - „აღსრულების ეროვნული ბიურო“** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი ეკონომიკური სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თამარ ყუფარაძის სახით და მეორეს მხრივ, **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „112“** (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ავთანდილ ჩიტაძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის (საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის N489 დადგენილება) საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია, 2019 წლის 26 ივლისიდან - 2019 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს საკუთრებაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალების - **თვითმცლელის - სახ. ნომრით - OO -881-G** ევაკუატორით ან მძიმე ტექნიკით გადაადგილება შემსყიდველის მიერ მითითებულ საბოლოო გეოგრაფიულ ლოკაციამდე ამ მუხლის 1.2. პუნქტში მოცემული შეზღუდვის გათვალისწინებით **(CPV კოდი: 63712000)**.

1.2. ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების გარეთ ამ ხელშეკრულების შესაბამისად ევაკუატორებით ან მძიმე ტექნიკით მომსახურება გაიწევა მხოლოდ მაშინ, თუ:

1.2.1. გადასაადგილებელი სატრანსპორტო საშუალება იმყოფება რეგიონში და მოითხოვება მისი ტრანსპორტირება ქ. თბილისში (ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში);

1.2.2. გადასაადგილებელი სატრანსპორტო საშუალება იმყოფება ქ. თბილისში (ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში) და მოითხოვება მისი ტრანსპორტირება რეგიონში.

1.3. მომსახურების გაწევა ხორციელდება შემდეგი წესით:

1.3.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრული წესით შემსყიდველისაგან შეტყობინების მიღებისთანავე ხდება შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე შესაბამისი ტიპის ევაკუატორის მისვლა ქ. თბილისში (თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში) შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს 30 წუთის განმავლობაში, ხოლო ქ. მცხეთაში (მცხეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში) შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს 1 საათის განმავლობაში, გარდა გზებზე არსებული შეფერხებების ან მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი სხვა შემაფერხებელი ფაქტორების არსებობისა.

1.3.2. შემთხვევის ადგილზე მისვლის შემდეგ გადასაადგილებელი სატრანსპორტო საშუალება განთავსდება ევაკუატორზე მისი ტექნიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით და ევაკუატორის მეშვეობით განხორციელდება მისი ტრანსპორტირება წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. მუხლით გათვალისწინებულ ლოკაციამდე. იმ შემთხვევაში, თუ გადასაადგილებელი სატრანსპორტო საშუალების წონა აღემატება ევაკუატორის ტექნიკურ შესაძლებლობებს, მისი ტრანსპორტირება განხორციელდება შესაბამი მძიმე ტექნიკის გამოყენებით;

1.3.3. ამ პუნქტის 1.3.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოქმედებების შემდეგ ევაკუატორით ან მძიმე ტექნიკით გადატანილი სატრანსპორტო საშუალება ევაკუატორიდან გადმოიტვირთება შესაბამის ადგილზე;

1.3.4. გადასაადგილებელი სატრანსპორტო საშუალების ევაკუატორზე ან შესაბამის ტექნიკაზე განთავსება, მისი ტრანსპორტირება და ევაკუატორიდან მისი გადმოტვირთვა ხდება იმგვარად, რომელიც გამორიცხავს გადასაადგილებელი სატრანსპორტო საშუალების დაზიანებას/შემდგომ დაზიანებას, გარდა ამგვარი მოქმედებების თანმდევი ბუნებრივი შედეგებისა.

2. მომსახურების ღირებულება

2.1. შესასყიდი მომსახურების ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;

2.2. შესასყიდი მომსახურების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრება **500,00 (ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარით.**

2.3. გასაწევი მომსახურების ერთეულის ღირებულება განისაზღვრება ამ ხელშეკრულების დანართი N1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

2.4. მომსახურების ღირებულება სრულად მოიცავს მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შესაბამისი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

3.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს ეკონომიკური სამსახურის ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი ან/და ამავე განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

4. ანგარიშსწორება

4.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და ინვოისის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

4.2. ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით მომსახურების გაწევა;

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

5.2.1. მიმწოდებლისაგან მომსახურების გაწევა მოითხოვოს მხოლოდ ერთიან სატელეფონო ნომერზე - „112“-ზე სატელეფონო შეტყობინების მეშვეობით;

5.2.2. ამ პუნქტის 5.2.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეტყობინება განახორციელოს საპატრულო პოლიციის მეშვეობით ან შემდეგი სატელეფონო ნომრიდან: 577 111 300;

5.2.3. მომსახურების მოთხოვნის მიზნით „112“-ზე შეტყობინების განხორციელებისას „112“-ის ზარის მიმღებს ზუსტად შეატყობინოს ევაკუატორით გადასაადგილებელი სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, ევაკუატორით გადასაადგილებელი სატრანსპორტო საშუალების ტიპი და მიახლოებითი მასა, ასევე ევაკუატორით ტრანსპორტირების საბოლოო წერტილი.

5.2.4. თუკი შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე მიმწოდებელი უზრუნველყოფს სატრანსპორტო საშუალების სსიპ „112“-ის სპეციალურად დაცულ (საჯარიმო) სადგომზე ტრანსპორტირებას და შენახვას, შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაადგილება აანაზღაუროს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით დადგენილი ტარიფებით, ხოლო შენახვის საფასური გადაიხადოს საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის N489 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლით დადგენილი სტანდარტული ტარიფებით;

5.2.5. თუ აღმოჩნდება, რომ არსებობს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის სატრანსპორტო საშუალებათა სსიპ „112“-ის სპეციალურ დაცულ (საჯარიმო) სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის სხვა საფუძველი, მიმწოდებელი ვალდებულია ტრანსპორტი გადაიყვანოს სსიპ „112“-ის სპეციალურად დაცულ (საჯარიმო) სადგომზე. შესაბამისი ავტომანქანის დგომის/შენახვის სხვა საფუძვლის აღმოფხვრის შესახებ მიმწოდებლის მიერ შეტყობისთანავე, ეს უკანასკნელი აცნობებს შემსყიდველს აღნიშნულის თაობაზე. სსიპ „112“-ის სპეციალურად დაცულ (საჯარიმო) სადგომზე ავტომანქანის შენახვის საფასურს შემსყიდველი გადაიხდის ასეთი შეტყობინების მიღების თარიღიდან ხელშეკრულების 5.2.4 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტარიფებით.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და მოითხოვოს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა პირობების შესრულება;

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.4.1. გაუწიოს შემსყიდველს ევაკუატორებით მომსახურება საპატრულო პოლიციის ან/და უშუალოდ შემსყიდველის მოთხოვნით.

5.4.2. გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

5.4.3. შემსყიდველის მოთხოვნით უზრუნველყოს შემსყიდველის სადგომზე (მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-10 კმ.) იმ სატრანსპორტო საშუალების ტრანსორტირება, რომელიც იმყოფება სსიპ „112“-ის სპეციალურად დაცულ (საჯარიმო) სადგომზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი სატრანსპორტო საშუალების მიმართ საგამოძიებო ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ტარდება რაიმე სახის საგამოძიებო ან ადმინისტრაციული მოქმედება ან სხვაგვარად წარმოადგენს გამოძიების ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ინტერესს ასეთი მოქმედებების დასრულებამდე. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს აცნობოს ამ საფუძვლების აღმოფხვრის შესახებ მის მიერ შეტყობისთანავე, ხოლო შემსყიდველი მომსახურების საფასურს გადაიხდის ასეთი შეტყობინების მიღების თარიღიდან ხელშეკრულების 5.2.4 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტარიფებით;

5.4.4. შეასრულოს ხელშეკრულებით მის მიერ ნაკისრი სხვა ვალდებულებები.

6. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

6.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, თითოეულმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-8 მუხლის შესაბამისად.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0.02%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს დამრღვევს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.4. ხელშეკრულების თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს სრულად აუნაზღაუროს ნებისმიერი ზიანი, რომელიც ამ უკანასკნელს მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შეუსრულებლობით.

7.5. შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. პუნქტის 5.2.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისას მიმწოდებელი იტოვებს უფლებამოსილებას დაინტერესებულ პირს მომსახურება გაუწიოს საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის N489 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლით დადგენილი სტანდარტული ტარიფებით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია აწარმოოს გაწეული მომსახურების მოცულობისა და ხარისხის ინსპექტირება.

9.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ,,აღსრულების ეროვნული ბიურო"-ს ეკონომიკური სამსახურის, ლოჯისტიკის განყოფილების ტექნიკური მენეჯერი ამირან გურაბანიძე".

9.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

10. დავების გადაწყვეტა

10.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

10.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წესით შეიძლება ასევე შეწყდეს თითოეული მხარის მიერ, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

14. ხელშეკრულების სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება, მასში გათვალისწინებული უფლებებითა და ვალდებულებებით, სრულად გავრცელდება მხარეთა შესაბამის სამართალმემკვიდრე(ებ)სა და უფლებამონაცვლე(ებ)ზე;

14.2. მხარეები აცხადებენ, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მათ აქვთ ამ შინაარსით წინამდებარე ხელშეკრულების დადებაზე სრული ავტორიზაცია. ამ მხრივ, თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ნებისმიერი ზიანი, რომელიც მას მიადგა ხელშემკვრელი მხარის შეზღუდული ავტორიზაციიდან გამომდინარე.

14.3. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ან/და პუნქტის მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ბათილობის შემთხვევაში, დანარჩენი მუხლები ან/და პუნქტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას, ხოლო ბათილი მუხლის ან/და პუნქტის ნაცვლად მოქმედებს ისეთი მუხლი ან/და პუნქტი, რომლითაც ადვილად მიიღწევა ხელშეკრულების მიზანი.

14.4. ხელშეკრულების საფუძველზე მხარეთა შორის წერილობით გაფორმებულ დამატებით შეთანხმებებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც არის დადებული ამგვარი შეთანხმება.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულებაში მხოლობით რიცხვში გამოყენებული სიტყვები აღნიშნავენ მრავლობით რიცხვს და პირიქით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელშეკრულების არსიდან სხვა რამ გამომდინარეობს.

14.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

14.7. ხელშეკრულებაზე შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დასმულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპი, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
მმართველობის სფეროში მოქმედი
სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“
ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-10 კმ.
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა;
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში;
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 707453459
ს/კ 205263873

ეკონომიკური სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი
თამარ ყუფარაძე

მიმწოდებელი:

შსს სსიპ - „112“
ფაქტობრივი/იურიდიული მის: ქ. თბილისი, ლისის ქ.N1ᵃ
მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში, შსს სსიპ „112“
მიმღების ს/კ 204579429
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 707147499

დირექტორი
ავთანდილ ჩიტაძე

<table>
<tr><th colspan="3">მომსახურების ღირებულება (დღგ-ის ჩათვლით)</th></tr>
<tr><th>ტრანსპორტირების გეოგრაფიული არიალი და ევაკუატორის ტიპი</th><th>ევაკუატორის გამოძახების ღირებულება</th><th>სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების ღირებულება ყოველ კილომეტრზე</th></tr>
<tr><td>ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ფარგლების გარეთ (გარდა ობობას ტიპის ამწის მქონე ევაკუატორისა)</td><td>30 ლარი</td><td>1.5 ლარი</td></tr>
<tr><td>ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ფარგლების გარეთ (ობობას ტიპის ამწის მქონე ევაკუატორით)</td><td>30 ლარი</td><td>3 ლარი</td></tr>
<tr><td>ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ფარგლებში</td><td>30 ლარი</td><td>ა) ობობას ტიპის ამწის მქონე ევაკუატორით-4 ლარი;
ბ) გარდა ობობას ტიპის ამწის მქონე ევაკუატორისა-3 ლარი;</td></tr>
<tr><td>გადავარდნილი და გადატრიალებული მანქანების ამოყვანა სპეციალური ტექნიკით</td><td colspan="2" rowspan="2">მომსახურების ღირებულება შეადგენს შესაბამისი შესრულებული სამუშაოების შედეგად გადასახდელ თანხას დამატებული კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახდელები</td></tr>
<tr><td>მძიმე ტექნიკის მეშვეობით სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება</td></tr>
<tr><td colspan="3">შენიშვნა:
1. სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების მანძილი განისაზღვრება ევაკუატორით გადასაადგილებელი სატრანსპორტო საშუალების საწყისი ადგილმდებარეობიდან მისი ტრანსპორტირების საბოლოო წერტილამდე;
2. ევაკუატორის გამოძახების გეოგრაფიული არეალი განისაზღვრება ევაკუატორით გადასაადგილებელი სატრანსპორტო საშუალების საწყისი ადგილმდებარეობის მიხედვით.</td></tr>
</table>

შემსყიდველი:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
მმართველობის სფეროში მოქმედი
სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“

ეკონომიკური სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი
თამარ ყუფარაძე

მიმწოდებელი:

შსს სსიპ - „112“

დირექტორი
ავთანდილ ჩიტაძე